2-8936/19
14-05-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის 101-ე მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, უკან გამოიწვიოთ ჩვენ მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა ,,კულტურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (07-3/341; 08.05.2019).

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა მიზნად ისახავს ,,კულტურის შესახებ" საქართველოს კანონის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას. ინიციატივის თანახმად, ცვლილება შედის კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც კულტურის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება არქიტექტურულ - მხატვრული კომპოზიციის განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. რამდენადაც სავალდებულო აღარ იქნება ამ გადაწყვეტილების განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმება, შესაბამისად მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებული იქნება კანონიდან. ამასთანავე, ტერმინოლოგიური ცვლილებები შედის კანონის მე-19, 21-ე და 24-ე მუხლებში.

კანონპროექტის ინიცირების შემდეგ ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრების შემდეგ, გამოკვეთა დამატებითი განხილვებისა და კონსულტაციების ჩატარების აუცილებლობა ძეგლის განთავსებაზე გადაწყვეტილების მიღების თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციისთვის მიკუთვნების საკითხთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მარიამ ჯაში

პარლამენტის წევრი
გურამ მაჭარაშვილი



პარლამენტის წევრი
შოთა ხაბარელი

პარლამენტის წევრი
სვეტლანა კუდბა